ხუთშაბათი, 13 სექტემბ. 1907 წ.

წელიწადი პირველი—№ 200

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით, შემდეგ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილები ავტორს დაუბრუნდება საჭიროება საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

ლეონიდ, მიხეილ და ნიკოლოოზ ნესტორის ძენი ელენტები, გიორგი და ივანე სტეფანეს ძენი ფარადაშვილები, ოლგა კირილეს ასული ფარადაშვილისა და ანტონ ასლანის ძე ელენტი, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა უდროოდ და მოულოდნელად გარდაცვალებას: პირველნი—საყვარელ დედისას, მეორენი—დის, მესამე—მულის და მეოთხე—რძლის,

ოლღა სტეფანეს ასულის ელენტისას,

სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ, მობრძანდნენ მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოში, საიდანაც მიცვალებულს გამოასვენებენ კვირას, 16 სექტემბერს, საათის ცხრაზედ და წაასვენებენ კუკიის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზედ. (1—512—1)

პროკოპ სისოს ძე და ივლიტა სოლომონის ასული, ნიკოლოოზ, გიორგი, დესპინე და მარიამ საბაშვილები, ალექსი სოლომონის ძე და მარიამ კონსტანტინეს ასული გულუა და პლატონ გიორგის ძე ბერძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ტფილისის გიმნაზიის 1-ლ კლასის მოწაფის 22 სექტემბერს 1906 წელს ქუთაისში უდროვოდ გარდაცვალებას პირველნი—საყვარელ შვილის, მეორე—ძვირფას ძმის, მესამენი—დის-წულის, ხოლო უკანასკნელი—მაზლის

ალექსანდრე პროკოპის ძის საბაშვილისას.

წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება დასაფლავების წლის თავზე 22 სექტემბერს 1907 წელს ოზამჩირეს აღდგომის ეკკლესიაში. (1—ფ.—1)

კახური ღვინით ვაჭრობა

„ზირხა“

ახლად მივიღეთ დიდ ძალი საუკეთესო კახური ღვინოები ფასები ზომიერია

ნიკოლოზის და გეიდენოვის კუთხე, № 17.

ტფილისში. (50—262—9)

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდნევისა. (63)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
ტანისა და ვენერიული. ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილით 11—12 ს. საღამოობით 6—8. ხუთშაბათსა და შაბათს დილით 11—12 ს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—00)

ქ. ქუთაისში
ექიმი ი. ი. ჩარექიშვილი
იღებს განსაკუთრებით ვენერიულ, სიფილისიან და კანით ავადმყოფებს. სწამლობს მუწუკებს, ძირმაგრებს, ბუზონებს და სხ. უაპერაციოდ პროფ. ბიერის მეტოდი. 12—2 საათამდის. გეგუთის ქუჩა, აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლში. (25—ფ.—10)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ქუთაისში
კბილის ექიმი
ე. დ. ნასარიძე
იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (25—288—8)

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა ოლგას ქუჩა, № 25. (0—176)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—6 ს. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—289—9)

ვკისრულობ
ხელნაწერების შესწორებასა და თარგმნას: რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად. იკითხეთ „ისრის“ რედაქციაში.

მოითხოვეთ საუკეთესო
წისქვ. ლის ქვები
ამხ. „გეორგია“-ს კანტორაში გოლოვინის პროსპექტზე, სახლი მანთაშოვისა № 6—ეზოში. (20—495—3)

იბეჭდება და მალე დარიგდება გასასყიდად ახალი დასურათებული გამოცემა «ბაქოს ქართ. ამხ. „კალამისა“, შედგენილი „მიწის» რედაქციის მიერ:

ილია ჭავჭავაძის დაკრძალვა

(კრებული იმ ნარჩევ წერილებისა, დეპეშებისა და სიტყვებისა, რაც კი წარმოთქმულა მხცოვან პოეტის მოკვლიდან დაკრძალვამდის).

უკეთუ კიდევ ვინმე ავტორს სურს ამ კრებულში მოათავსოს თავისი (მოკლე ზომიანი) თხზულება (ჯერ არსად დაბეჭდილი), უნდა მიმართოს ენკენისთვის 20-დის გიორგი სალარიძეს (Верійскій спускъ д. № 15), ან წ. კ. საზ. კანცელარიაში,—ს. ფირცხალავას.

ვთხოვთ აგრეთვე იმ პირთ, რომელთა უკვე წარმოთქმული სიტყვები ჯერ არ დაბეჭდილა გაზეთებში, მოგვაწოდონ ამ კრებულში მოსათავსებლად. (8—ნ.—3)

მეჩექმეთა ამხანაგობამ

„ნდობამ“

დროებით შესწყვიტა ტყავეულობით ვაჭრობა, რადგან ვერაგმა ხელმა შეაჩერა მისი წინ მსვლელობა (გაქურდვით). სამაგიეროდ საუკეთესოდ მოაწყო სახელოსნო განყოფილება, სადაც მოეპოება ადგილობრივი ნამუშავარი, როგორც ძვირფასი შევრო და ხრომის ფეხ-საცმელი (ქალისა და კაცისა), ისე შავი საქონლისა ხელ მისაწვდენ ფასიანები, აგრეთვე საზაფხულო პარუსინისა, სოფთა და მკვიდრი ნამუშავარი, რისთვისაცა სთხოვს დაზარალებული ამხანაგობა შეგნებულ საზოგადოებას, ხელი შეუწყოს როგორც შეკვეთილ (ზაკაზის) საქმით, ისე მზად შეკერილის ყიდვით, და სკოლების საიჯარო საქმით. ვალად ვრაცხთ თავს, განვაცხადოთ, რომ ყოველ ბდებულ საქმეს პირნათლად გავუძღვებით. ამხანაგობა გადავიდა კიროჩნი ქუჩაზედ, ბუდაღოვის შენობაში, № 11-ში, აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების ცოტა ქვემოდ.
გამგე ამხანაგობისა ს. ბერძნიშვილი. (20—ნ.—1)

„ტფილისის სობრანიე“
დღეს, 13 სექტემბერს, საოჯახო საღამო. დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი ს. ი. პრესმანის მეთაურობით. (1—518—1)

ტფ. ქართულ ფილარმონიულ
საზოგადოების გამგეობა
ამით აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ 16 სექტემბერს, დილის 11 საათისთვის, დანიშნულია მეორე საგანგებო კრება, რადგან პირველი არ შესდგა. კრება მოხდება სამეურნეო ბანკში საზოგადოების წესდების ზოგიერთა მუხლის შესასწორებლად და ახალ მუხლის შესატანად, რომლის ძალითაც საზოგადოებას ნება ექნება დააარსოს თავის სახელზე სპეციალური სამუსიკო სკოლა. (2—ნ.—1)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ივ. გომელაურის-მიერ შედგენილი სახელმძღვანელო
სკოლებში შესასწავლი
ქართველი მწერლები
მათი სურათებით და ბიოგრაფიებით
წიგნი პირველი, მეორე გამოცემა, შევსებული და შესწორებული, შეიცავს 416 გვ. და ღირს უდით თოთხმეტი შაური. მაღაზიებს დაეთმობა 20%.
ამ წიგნის საწყობი იმყოფება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგად.“ წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა ქარვასლა).
Тифлисъ. Общества распространенія грамотности среди грузинскаго населенія. (10—271—10)

პროკოპ სისოს ძე და ივლიტა სოლომონის ასული საბაშვილები შვილებითურთ უგულითადეს მადლობას უცხადებენ მათ, ვინც დასწრებით, დეპეშით ან წერილებით თანაუგრძნო და მწუხარება გამოუცხადა პირველის უსაყვარლეს შვილის, ხოლო უკანასკნელის ძვირფასი ძმის ალექსანდრე პროკოპის ძის საბაშვილის გარდაცვალების გამო. (1—ფ.—1)

## ტფილისი, 13 ენკენისთვე.

არჩევნების დასაწყისს ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსეთის დაბალ კურიების ამრჩეველთა შორის ბოიკოტისტური და ინდიფერენტიული მიდრეკილება იჩენს თავს. მაშინ ცოტა ცნობა გვქონდა ხელთ, სახელდობრ—მოსკოვისა და ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიების შესახებ, სადაც ბევრგან მუშათა კრებები ვერც კი შესდგა რწმუნებულების ასარჩევად და გლეხთა კურიებმაც ვერ აირჩიეს რწმუნებულთა კანონიერი რიცხვი.

ახლა ამგვარი ცნობა უფრო მეტი გვაქვს და ისინი უტყუარად ამტკიცებენ და ამართლებენ პირველ შთაბეჭდილებას. გადაიკითხეთ, მაგალითად, გუშინდელი დეპეშები: იზმაილოვსკის, ბენდერის, ბელეცკის მაზრებში წვრილ მემამულეთა რწმუნებულების არჩევნები ვერ მოხდა, რადგან ამრჩეველნი არ გამოცხადდნენ; იმავ მიზეზით ვერ მოხდა არჩევნები პეტერბურგის გუბერნიის სამს მაზრაში (გდოვის, შლისელბურგისა და იამბურგისაში); პერმის გუბერნიაში არჩევნები შესდგა მხოლოდ ერთ მაზრაში, დანარჩენ ცხრა მაზრაში კი საარჩევნო კრებებს არავინ დასწრებია; აგრეთივე ამბავია პენზის, სარატოვის და სხვა გუბერნიებში. გაიხსენეთ ამასთანავე წინანდელი ცნობები იმის შესახებ, რომ ამრჩეველნი სრულიად გულგრილად უცქეროდენ, როგორ მზადდებოდა საარჩევნო სიები; გაიხსენეთ ისიც, რომ ცდაც კი არ ყოფილა საარჩევნო წინასწარ კრებების გამართვისა. ყველა ეს ფაქტი საკმაოდ მოწმობს, რომ რუსეთის უფრო დემოკრატიული ელემენტები არა-თუ წინანდელ ენერგიას არ იჩენენ, უბრალო ინტერესითაც-კი არ ეკიდებიან პოლიტიკურ არჩევნებს.

ძნელი გამოსაცნობია ჯერ-ჯერობით, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე: შეგნებული და წინადვე განზრახული ბოიკოტი მოქმედობს, თუ უბრალო ინდიფერენტიზმი და შეუგნებელი აბსენტეიზმი ან შემთხვევითი რამ გარემოებანი უშლიან ხელს მცხოვრებთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთი მიზეზი არაა ყველგან, რომ ადგილი აქვს სამთავე მიზეზს ადგილობრივ პირობების მიხედვით. მაგალითად, მოსკოვისა და ნიჟნინოვგოროდის რაიონებში მუშათა კურიების ამბავს უბრალო ინდიფერენტიზმით ვერ ავხსნით. იქაურმა პროლეტარიატმა უკვე დაამტკიცა თავისი პოლიტიკური სიმწიფე და თუ იქ დღეს მუშები არჩევნებს არ ეტანებიან, ეს იმ გარემოებას უნდა მივაწეროთ, რომ ხსენებულ რაიონებში უფრო ეს-ერები და ს.-დ. ბოლშევიკები ხელმძღვანელობენ მუშებს, ესე იგი ისინი, ვინც მომხრენი არიან მესამე სათათბიროს ბოიკოტისა. იგივე ითქმის პერმის გუბერნიის გლეხობაზე, რომელიც საკმაოდ ძლიერად განიცდის ეს-ერების გავლენას... მაგრამ არის ადგილები, სადაც შეგნებულ ბოიკოტის არსებობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება; მაგალითად ბესსარაბიაში, სადაც თითქმის ყველა მაზრაში ვერ შეკრებილან წვრილი მემამულეები და რწმუნებულები ვერ აურჩევიათ. ამ მხარეს წინადაც და ახლაც ძლიერია შავრაზმელთა ორგანიზაციები და ძნელი წარმოსადგენია, რომ შეგნებულს ბოიკოტთან გვქონდეს საქმე. აგრეთვე ყაზანის გუბერნიის გლეხთა კურიებში აბსენტიზმი, ალბად, შეგნებულ ბოიკოტის შედეგი არ უნდა იყოს...

ასეა თუ ისე, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: ხალხმა დაჰკარგა წინანდელი აღფრთოვანებული რწმენა სათათბიროსადმი, არავითარ ხალისს არ იჩენს და თუ მიდის არჩევნებზე, უფრო იმიტომ, რომ ჩვეულებრივი „სახაზინო ბეგარა“ მოიხადოს... მიუხედავად ასეთ სულიერ განწყობილებისა, შესანიშნავი ისაა, რომ დემოკრატიული ელემენტი მაინც მტკიცედ ადგია თავის პოლიტიკურ რწმენას: თუ მიდის არჩევნებზე, უთუოდ მემარცხენეთ ირჩევს, თუმცა ათასგვარი დაბრკოლება, ხიფათი და მაცდური გარემოება ელობება წინ. პირველი სატელეგრაფო ცნობები უტყუარად გვეუბნებიან, რომ მუშათა, გლეხთა და წვრილ მემამულეთა კურიებში ისევ მემარცხენენი იმარჯვებენ, კადეტებიდან დაწყებული თვით ეს-ერებამდე. სატელეგრაფო სააგენტომ წელსაც მოიგონა ერთი უცნაური ჯგუფი არჩეულთა—ზომიერებიო, მაგრამ ეს ვერავის შეიყვანს შეცდომაში, როგორც შარშან ვერავინ მოატყუა „მონარხისტების“ რუბრიკამ. ცხადია, რომ ნამდვილად არ არსებობენ ამდენი ჯგუფები: მემარჯვენენი, მემარცხენე უპარტიონი, მონარხისტები, ჭეშმარიტ რუსნი, ზომიერები და სხვა; ასეთი მრავალფეროვანება სააგენტოს დასჭირდა ისევ საზოგადოებრივ აზრის დასაბნევად, მაგრამ ახლა ეს ხრიკი აღარავის სწამს და ველარ გასჭრის.

ზემოდ აღნიშნულ ინდიფერენტულ მიმართულებას დაბალ კურიებში დიდი გავლენა ექნება ახლანდელ საარჩევნო კამპანიის საზოგადო შედეგზე. საქმე ისაა, რომ არჩევნების შემდეგ სტადიებში დაბალ კურიების გავლენა ნაკლები იქნება იმის მიხედვით, რამდენად ნაკლები იქნება რიცხვი წვრილ მემამულეთა კურიებში არჩეულ რწმუნებულებისა. ამნაირად 3 ივნისის საარჩევნო კანონს ფართო გზა გაეხსნება მოქმედებისათვის და მომავალ სათათბიროს შედგენილობა ცხადათ რეაქციონული გამოვა. ამ კანონმა ისედაც მიანიჭა უპირატესობა რეაქციონურ ელემენტებს და თუ დაბალ კურიებში (მუშებსა, გლეხთა, წვრილ მემამულეთა და ქალაქის ბინის დამქირავებელთა შორის) ახლანდელივით უხალისოდ გაგრძელდა არჩევნები, ბურთი და მოედანი რეაქციონერთ დარჩება სრულიად. მაშინ-კი ხალხი სრულებით დაჰკარგავს რწმენას სათათბიროსადმი და ვერც ასეთი სათათბირო მოახერხებს რუსეთის ხსნას ახლანდელ კრიზისაგან. ახლო მომავალი უთუოდ ისევ წამოაყენებს წინ იმ ალტერნატივას, რომელიც რუსეთის წინ იყო 17 ოქტომბრამდე: ან სრული განახლება ან მუდმივი კრიზისი და ბოლოს აუცილებელი კატასტროფა.

## სიტყვები

### თ. ილია ჭავჭავაძის ცხედარზე.

შენი სამარის წინაშე თავ-მოყრილი ქართველი ქალები იმისათვის დაგტირიან, რომ ადამიანური უფლების ერთგული ქომაგი იყავი და ამან მისცა ფასი და მნიშვნელობა შენ საუკეთესო ნაწერებს.

ქალი—ადამიანია, ხოლო დაჩაგრულ ადამიანის უფლების დაცვა ქალის უფლების დაცვაა. უღრმესი კაცობრიული გრძნობა იმით არის შესანიშნავი, რომ იგი მტკიცე კავშირს ჰქმნის კაცთა შორის სქესების განურჩევლად. ის მწერალი და მოღვაწე, რომლის გული თავის მოძმის მიმართ თანაგრძნობით სძგერს, როგორც მამაკაცის ისე დედაკაცის თავისუფლებას ემსახურება. შენი საუკეთესო ღვაწლი საზოგადო კაცობრიულ გრძნობათა გაღვიძება იყო და ამ გრძნობამ შეგვაერთა დღეს შენი სამარის წინაშე განურჩევლად მამაკაცნი და დედაკაცნი.

რა ფიქრებს და გრძნობას გვიღვიძებს ჩვენ წინ უსულოდ მდებარე სასიქადულო ადამიანის გვამი?.. უწყალო ტყვიით განგმირებს ის, ვისი საუკეთესო ნაწარმოები ჩაგრულთა მიმართ წრფელის თანაგრძნობითაა სულ-ჩადგმული. დიდი და ღრმა მნიშვნელობითაა აღსავსე ცხოვრების ეს საშინელი და ამავე დროს საგულისხმიერო მოვლენა. ვინ მოჰკლა ილია ჭავჭავაძე? ვისი უწყალო ხელი შეეხო მოხუცს, სრულიად ქადარა პატიოსან დედაკაცს, ილიას ერთგულ მეუღლეს? პასუხი ერთია: ცხოვრების უწყალო პირობებისაგან დამახინჯებულ, საცოდავ, სულით ღატაკ ადამიანთა მსხვერპლი გახდა იგი. შურის ძიებას თუ მკაცრ პასუხის გებას მოითხოვს ჩვენგან ილია ჭავჭავაძის ძვირფასი ხსოვნა იმათ მიმართ, რომელთაც ის ასე უწყალოდ გამოასალმეს ამ წუთისსოფელს. იმათ არ იცოდნენ რას სჩადიოდნენ და ამ საზარელ უვიცობაში ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვართ. ვისი ბრალია, რომ ყველა საუკეთესო მწერლების ნაწარმოები, ტანჯულ ადამიანის მიმართ წრფელის სიყვარულით სულ-ჩადგმული შემოქმედება, მხოლოდ შედარებით უფრო შეძლებულთა წრეში ტრიალებს, რომ ხალხი, ის ხალხი, რომელიც თითონ მგოსნის სიტყვით „ლაბას“ ბედს ადარებს თავის ბედს, რომელიც ყველას თავის ოფლით გვარჩენს, კეთილ წიგნს, ღრმა აზრიან მწერლობას მოკლებულია? განათლება დღეს შეძლებულთა ჯილდოა და ეს საზარელი მკვლელობა, ეს ღია ბნელი სამარე მკაცრისა და უწყალო ენით მეტყველებს, რომ ამ სასიქადულო ადამიანის მკვლელობაში ყველას საერთოდ ბრალი გვიდევს. იმ საზოგადოებაში, იმ ხალხში, სადაც კაცობრიობის უძვირფასესი განძი, საუკეთესო მოღვაწეთა ნაფიქრ-ნაგრძნობი უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ვიწრო წრის მემკვიდრეობაა, განათლებულნი თითქოს არისტოკრატიას წარმოადგენენ, რომელთაც ხვდათ ის, რაც საერთოდ მთელ კაცობრიობას უანდერძეს მოწინავე მწერლებმა და მოღვაწეებმა. იმათ ხვდათ ის ნიჭი, ის ქრისტიანული „ტალანტი“, რომელიც ცხოვრების ქრისტიანულ კანონის ძალით, თუ არ აწარმოვა, თუ არ გაამრავლა ხალხში ადამიანმა, ბოლოს ამ ნიჭის, „ტალანტის“ მქონეს და სულით ზარმაცს დაატყდება თავს, და ჩვენც, დღეს ამ ძვირფას ნიჭის მქონე სულით ზარმაცი მემკვიდრენი დიდებულ მოაზრეთა, ამ დიდებულ უსულო გვამის წინ აკი განვიცდით „კბილითა ღრჭენას და ტირილ-ვაებას“. თუ ამ საშინელ საქმის ჩამდენი ჩვენი მოძმეა ჩვენ მოვიმკით იმას, რაც დაგვითესია.

განა საფიქრებელია, რომ იმ ადამიანმა, ვისი ხელიც არ შედრკა და სასიკვდილო ტყვია ესროლა ილიას გულს, იმ გულს, რომელმაც სიყვარულით ამოაკვნესა „გუთნის დედა“, „სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „კაცია ადამიანი“ „ლოცვა“, „ქართვლის დედას“ „აჩრდილი“ და სხვანი, იცოდა ერთ-ერთი მაინც ამ ნაწარმოებთაგანი? და ახლა კი, როცა დავკარგეთ საუნჯე, ვტირით; მაგრამ ილიას ლია სამარის წინაშე უნდა ვიგლოვოთ არა ის ადამიანი, რომელიც მუდამ იცოცხლებს ქართველ ერის გულში, არამედ ის საბრალონი, რომელნიც დღეს ირგვლივ ზიზღს და რისხვას იწვევენ. ვიგლოვოთ ის უბედური დედა, რომელსაც შავმა ბედმა ასეთი შვილის აღზრდა არგუნა, და იმათთან ერთად ჩვენი თავიც.

დეე ამ საზარელმა ტრაგედიამ, ამ საშინელმა მსხვერპლმა ღრმად ააძგეროს ჩვენი გული და თუმცა დაგვიანებულია, მაგრამ სამუდამოდ, ღრმა საგულისხმიერო სურათად გვედგას თვალ წინ და მუდამ ჟამს გვახსოვდეს შენი საუკეთესო სურვილ-მისწრაფება, რომ ადამიანურ ცხოვრებას ამ წუთი-სოფელში მხოლოდ ადამიანურ სიყვარულისა და მოვალეობის აღსრულება შეჰქონს.

გეთხოვებით, ძვირფასო მასწავლებელო შენივსავე სიტყვებით, რომელიც ყველა ქალმა—დედამ მცნებად უნდა გაიხადოს:

მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი....
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს:
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს....
აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და სამღრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას.

**ნინო ნაკაშიძე.**

—

საქართველოს ქირისუფალო ილიავ! შენმა ტურფა კახეთმა, რომელსაც ბედნიერ წილად ჰხვდა—თავის მხნე მკერდზედ, ნიადაგზე დაერწია შენი აკვანი, მოგვანდო ჩვენ თაყვანი ვცეთ შენს ძვირფას ნეშტსა და ვაუწყოთ ჩვენს ქვეყანას რა განუსაზღვრელი საეროვნო კაეშანი ჩააწვეთა ყოველის კახელის გულს შენმა მოწამებრივმა სიკვდილმა!

სულმნათო მგოსანო! კახეთი სტირს და ჰგლოვობს, მაგრამ მაინც არა სჯერა, რომ ეგ, საქართველოსათვის სამსხვერპლოდ ქცეული, გული საუკუნოდ მიყუჩდა და აღარ აძგერდება სამშობლოსათვის მტლედ დასადებად!

ჩვენის აზროვნების დიდო მესვეურო! ნუ თუ ეგ საამურად მეტყველნი ბაგენი სამუდამოდ დადუმდნენ და აღარ განიხვნებიან ზეამტაც სიტყვის სათქმელად?!

ცხოველმყოფელო ძეგლო ჩვენის დიდებისა! ნუ თუ ეგ ღვთაებრივის იერით აღბეჭდილი შუბლი აღარ გაიხსნება, რომ ძველებურად ცხოველ აზრთა გუნდი გადმოაფინოს შენ თანამოძმეთ—ცხოვრებაში სახელმძღვანელოდ და ანდერძად საშვილიშვილოდ გადასაცემად?!

საქართველოს სუიერო მეორე კახო! რას გვაბარებ? რა ვუთხრათ შენს მოდუღუნე ბედის მოჩივარ ალაზანს? რა ხმა მივაწვდინოთ შენს მშობელს ყვარელის მთებს? რით ვანუგეშოთ ბაღში ცრემლით ანატირი ობოლი ვაზი? რა ვუპასუხოთ მოჭირნახულე ლაბას, შენს ლაბას, როცა უენო, ვითა მეტყველი, თვალებით დაგვეკითხება?!

სდუმხარ?! მაშ მართალია?!

თუ აგრეა—იგლოვეთ, იგლოვეთ მდუღარედ! შენ, ალაზანო, ზვირთი ზვირთზედ ააგორე, აბობოქრდი, მოჰყევი მწარე ზარს! თქვენ ყვარლის მთებო, ნისლით შეიბურეთ მწვერვალები—ეგ იქნება თქვენი ძაძა! შენ, ობოლო ვაზო, აფრქვიე მწუხარე ცრემლი და ლაბავ, მორთე გულსაკლავი ბღავილი! აღარა გყავთ ზრახვათა მესაიდუმლე, აღარა გყავთ გრძნობათა მოენე!!. შენ-კი საქართველოვ, ახლა მაინც მიჰხვდი, რა ბედშავია შენი ხვედრი. დეე, ამ დიადმა წმინდა მსხვერპლმა მაინ შეაგნებინოს შენს შვილთ სამშობლოს განწირული მდგომარეობა და აღძრას მათში გმირის დამბადი დიდი საგანი!

**იდ. შურაბიშვილი.**

## სამგლოვიარო დეპეშები და წერილები

—:—

**დეპეშები.** ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო სამგლოვიარო დეპეშები მოგვივიდა კიდევ შემდეგ ადგილებიდან: გერიულელ ქართველებისაგან, სოფ. მაკვანეთელებისაგან (გურია), პეტერბურგელ ქართველ სტუდენტების მინდ—ით შიშნეიშვილისგან, მიუნჰენის ქართველ მოსწავლე ახალგაზდობისგან, ახენის ქართველ სტუდენტებისგან.

**წერილები.** სტ. ნიკოლაშვილისგან ჯუმათიდან, კონსტ. გვარამაძესგან ახალციხიდან, შემოქმედის წინამძღვარის არქიმანდრიტ გერასიმესაგან, სოფ. ზოდის (მტრაბ. მ.) მცხოვრებთა მინდ—ით სვიმონ ბარათაშვილისგან, ლავრენტი დ—სგან ლაილაშიდან, სოფ. უდისა, არლისა, ადიგენისა (ახ. მაზ.) და ქვაბლიანის ხეობის დანარჩენ სოფლებში მცხოვრებ ქალთველ კათოლიკეთა და ქართველ მაჰმადიანებისგან, კაიხოსრო გელოვანისგან სოფ. ტოლადან, ტრ. ინასარიძესგან ბათუმიდან, ვაქირის მცხოვრებთა მინდ—ით ივ. მჭედლიშვილისგან, ტფ. პირველ გიმნაზიის მოსწ. ქართველთა ჯგუფის მინდ—ით ვ. ხანჩუხელისგან, სოფ. გურჯაანის თავადაზნაურ: და სამღვდელოებისგან, ქვედა საქარის მრევლის მინდ—ით მღვდ. ბარბაქაძესგან, ამაღლების (ქუთ. მაზ.) სამკლესიო სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთაგან, რუის (ქართლი) საზოგადოების მინდ—ით თ. გულისაშვილისა და მ. მამაცაშვილისგან, ჭიათურის სამოქალაქო სკოლის მოსწავლეთაგან, ტფილისის საფერშლო სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა მონდობილობით მ. ნათაძესგან, ტფილისის პროგიმნაზიის ქართველ მოწაფეებისგან, ქუთაისელ ქალებისგან, სოფ. ვაყის (ქართ.) მცხოვრებლებისა და ამავე სოფლის სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთაგან, გორის საპყრობილის პატიმართა მონდ-ით: გ. საბელაშვილი, კონსტ. ნოდია, ე. ზმიადივი და ალ. ეგამე, „კახეთის“ საზ.-ის თელავის ბიუროს გამგე დ. გამყრელიძესგან, ქუთაისურ წვრილ ვაჭართა ჯგუფის მონ—ით: ივ. თოფურიძე, ივ. ქავთარაძე, დ. თოფურიძე და №. №., ტფილისის წვრილ ვაჭართა მონდ—ით ირ. ოქროაშვილისგან, დუშეთის საქალებო სკოლის მოწაფეებისგან, ქუთაისის რესტორანის პატრონთა მონდ-ით სპ. ქავთარაძისაგან, ქუთაისის ქალაქის ბიბლიოთეკის მსახურთა მონ—ით ნ. მირიანოვისგან, სოფ. აწყურელ (ახალც. მ.) ქართველებისგან, განჯის ქართულ მრევლის მონდ—ით დეკანოზ მ. მჭედლიშვილისგან, ტფ მიხეილის საავადმყოფოში მწოლარე გ. ხუტულაშვილისაგნ, ზესტაფონისა და მ. ვარდოსანიძესგან, გადასახლებულ გრ. შავდიასგან ქალ. ხოლმოგორიდან (არხანგ. გუბ.), თელაველ ახალგაზდათა მონ—ით ვ. პაატაშვილისგან.

პანაშვიდები გადაუხდიათ შემდეგ ადგილებში: სოფ. მაკვანეთში, შემოქმედის მონასტერში, გორის საკრებულო ტაძარში, სოფ. ზოდში, ლაილაშში, ბათუმის ქართულ სასწავლებელს, სოფელ გურჯაანში, სოფ. ქვედა საქარში, ამაღლების სასოფლო სკოლამ, რუისის სობოროში, სოფ. ვაყას სკოლამ, განჯის საკრებულო ტაძარში, ჭიათურაში, თერჯოლაში, ოზურგეთის საქალაქო სასწავლებლებმა, ქალ. ახალქალაქში, (მეორედ), მეჯვრისხევში, კარდენახში, ძირულაში, ფოთის ქალაქის საბჭომ (მეორედ), ველისციხეში, ახატენისა, ჩუმლაყისა და მუკუზანის მცხოვრებლებმა, ერევანში, ცაგერში, სურამში, ჩუნეთში, ყულევში, ღვანკითში, კნოლევში, ველისციხეში ქალ. პეროვსკში, ახალსენაკში (მეორედ), ახალციხეში, ცხინვალში, მოსკოვში, საჩხერის სასწავლებელში, ონში (ორჯერ), ქვიშხეთში, ყვირილაში (მეორედ), ქვემოჭალაში, ქუთაისში („მეჩიანთა“ მიერ), ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, გომში, აბაშაში, ჭიათურაში, ნახიჩევანში, სიღნაღში, კულაშში, პატარა მეჯვრისხევში, კაუხში, იგდირში, გუდაუთში, ზემო ხვედურეთში, ყვირილაში (ქართ. ქალების მიერ), მოლითში, ზედარგანში, ორდუბათში, აწყურში (კახ.), ფასანაურში, ზუგდიდში (მესამედ) და სხვაგანაც.

ყოველ კუთხიდან იუწყებიან, რომ პანაშვიდებს აუარებელი ხალხი დაესწრო.

# ყვავილები

—:—

50. **ტფ. ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთაგან:**

როდემდის უნდა არ ვსცნობდეთ სიკვდილის ფასსა?
როდემდის უნდა არ ვსცეთ ღვთიურს ნიჭსა, ღირსა თაყვანსა?
მის ყოველ წუთსა სიფრთხილითა რატომ არ ვხარჯავთ?
და მის აქ ყოფნას ამაოდ რისთვისა ვსახავთ?

51. **ხონის საზოგადოებისაგან:**

ერის წყლული გიჩნდა წყლულად,
გეწოდა მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
გედაგოდა მტკიცედ გული.

52. **შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს ჭიათურელ მოსამსახურეთაგან:** „ქართველი ერის სასიქადულო შვილს“.

53. **წალენჯიხის საზოგადოებისაგან:** „დიდებულ პოეტს, დაუვიწყარ მამულიშვილს“.

54. **ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოებისაგან:** „უკვდავი ხარ, საქართველოს დიდებავ!“

55. **სადგურ ყვირილის და შორაპნის მოსამსახურე-მუშებისაგან:**

ზიზღი მის სახელს,
წყევა მის მაჯას,
ვინც შეაშფოთა შენი ქალარა
და დაადუმა ჩვენი დარაჯი
შენი უებრო ჩანგი ნალარა.

56. **„გეორგიას“ ამხანაგობის მუშებისაგან:** „ერთს ბედს ქვეშა ვართ, ძმაბავ, მე და შენ, წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ“.

57. **კავ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისაგან:** „თავის უთვილ ვიცე-პრეზიდენტს“.

58. **დაბა ცხინვალისაგან:** „იქ თვით სამოთხეც ჯოჯოხეთია, სად თვის შხამს ანთხევს მტრობა და შური“.

59. **პეტერბურგის ქართველ სტუდენტებისაგან:** „არა დედ-მამა, მაგ სიკვდილით დაობლდა ერი“.—„ჩვენს მასწავლებელს დიდებულ მამულიშვილს ილია ჭავჭავაძეს“.

60. **ოდესელ სტუდენტებისაგან:** „კაცი უნდა სანთლად იწვოდეს“.

61. **ტფილისში მყოფ ქართველ სტუდენტებისაგან:** „ერმა რომ შვილი აღზარდოს, ემაგრე შენისთანაო“.

62. **ზუგდიდელ მოქალაქეთაგან:** „მამულისთვის არ ახსოვდა განსაცდელი განსაცდელში,

„ტრფობას ჰქონდა გულში აბჯრად მოდარაჯეს კალმით ხელში“.

63. **ფოთის ვაჭრებისა და ხელოსნებისაგან:** „ქართველთა სიამაყეს, საუკეთესო მამულიშვილს, მგოსანს და საზოგადო მოღვაწეს ფოთის ხელოსნებ-ვაჭრებისაგან“.

64. **ფოთის ქალაქის მუშებისაგან:** „საქართველოს დიდებას და ხალხის მასწავლებელს“.

65. **სოფელ ალის [გლეხებისაგან]:** „შრომისა ახსნა ეგ არის ტვირთძლევა მასილის ამ საუკუნის, კაცთა დღეგისა დიადზვირთი მაგ ახსნისათვის-მეძგერდა იბრძვის“.

66. **ქუთაისის საურთიერთო მლ...ის საზოგადოებისაგან:** „უკვდავ მგოსანს სასიქადულო შვილს საქართველოსას“.

67. **არტურ ლეისტისაგან:** „დაუვიწყარს პოეტს მეგობარს ილიას“.

68. **სადგურ მიხაილოვის ქართველ მოსამსახურეთაგან და მცხოვრებთაგან:** „დაუვიწყარ მგოსანს, საყვარელ მამას ილია ჭავჭავაძეს“.

69. **ჯავახელ ქართველებისაგან:** „საქართველოს ვარსკვლავს ილია ჭავჭავაძეს“.

70. **ოზურგეთლებისაგან:** „დიდ მგოსანს ილია ჭავჭავაძეს“.

71. **ბორჯომის ქართველ საზოგადოებისაგან:** „დიდ ქართველ მამულიშვილ ილია ჭავჭავაძეს“.

72. **ბორჯომის ქართველ მუშებისაგან:** „ჩვენს ძვირფას და დაუვიწყარს მგოსანს ილია ჭავჭავაძეს“.

73. **სიღნაღის ქართველ საზოგადოებისაგან:** „შენ არ მოკვდები: მკვდრად იგ თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია“.

74. **თელავის საზოგადოებისაგან:** „დაუვიწყარ მგოსანს და თავდადებულ მამულიშვილს ილიას“.

75. **განჯელ ქართველებისაგან:** ერის სიამაყეს და ხალხის მოამაგეს დიდებულ მგოსანს და დაუფასებელ მამულიშვილს“.

76. **მამადავითის ქალთა სკოლის გამგისა და მოწაფეთაგან:**

აღარა გვყავხარ!.. უღმრთო იყო შენი სიკვდილი!
არა დედ-მამა, მაგ სიკვდილით დაობლდა ერი.
ვისღა მივანდოთ ჩვენი გრძნობა ტანჯვა და ლხენა!

77. **ტფ. საბალხნო სასწავლებლისაგან:** „უკვდავია შენი სახელი“.

78. **ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლისაგან:** „უკვდავ ილია ჭავჭავაძეს“.

79. **სათავად-აზნაურო ქარვასლის მუშებისაგან:** „ჩვენი ქვეყნის უდიდეს ჭირისუფალს“:

რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.

80. **ჭიათურის დრამატიულ საზოგადოებისაგან:**

შენ დიდება უკვდავება,
მამულისთვის თავდადებულს,
მკვლელს სირცხვილი იუდისა,
ტანჯვა სულით დაბრმავებულს!

81. **ტფ. სახალხო უნივერსიტეტისაგან:** „Безсмертіе пріявшему поэту народныхъ думъ Ильѣ Г. Чавчавадзе“.

82. **ყვირილის ქართველ მუშათა ჯგუფისაგან:**

„აწმყო თუ არა გვწყალობს,
მომავალი ჩვენია“.

# ფელეტონი

## პირველი საიდუმლო სტამბა

**მოგონება სტეპნიაკ-კრავჩინსკისა.**

საიდუმლო სტამბის მოწყობა და იმის საშუალებით თავისუფალ სიტყვისათვის ფართო ასპარეზის მოპოვება ყოველ ორგანიზაციის სურვილსა და მისწრაფებას შეადგენდა. ჯერ ისევ მესამოცე წლებში შემდგარ საიდუმლო საზოგადოებებს—„მიწა და თავისუფლებას“ და „ახალგაზდა რუსეთს“—ჰქონდათ პატარა სტამბები, რომელთაც მხოლოდ რამდენიმე თვე იცოცხლეს. უკანასკნელ 10—16 წლებში, როდესაც განმათავისუფლებელი მოძრაობა მთელს რუსეთს მოედო, სტამბის შეძენის საჭიროება ყველასათვის ნათელი შეიქმნა.

აი, სწორედ ამიტომ ყოველი ორგანიზაცია, თავის დაბადების პირველ დღეებიდანვე შეუდგებოდა ხოლმე სტამბის შეძენაზედ ზრუნვას. მაგრამ თითქოს განგებ ყოველი ახლად დაარსებული სტამბა საშინელის სისწრაფით იღუპებოდა. პოლიცია თითქოს სუნით იგებდა მათს გზა-კვალს და ჯერ კიდევ მოუწყობელს სტამბას სიცოცხლეს ასალმებდა. კარაკოზოვების სტამბამ, მაგალითად, სულ რამდენიმე კვირა იცოცხლა. ნეჩაევის პარტიის მიმდევართაც შეიძინეს საბეჭდავი მანქანა, მაგრამ მისი ხმარება ვერ მოახერხეს და შემდეგ პოლიციის დავლად გახდა, რომელთაც ორგანიზაციის აკლებას შემდეგ სადღაც ჩაფლული იპოვეს. დოლგუშინცების სტამბამაც გამოუშვა თუ არა ორი ნომერი გაზეთისა, პოლიციაა ჩიაგნო და მოსპო. ჩაიკოველებსაც ჰქონდათ სტამბა, რომელიც მთელ ხუთ წელიწადს ეგდო ბანზე უხმარებლად.

მართლაც, ყველა ის დაბრკოლება, რომელიც თანა სდევს სტამბას ისეთს ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, სადაც ყოველსავე თქვენს ნაბიჯს თვალ-ყურს ადევნებენ, შეუძლებლად ხდიდა ყოველსავე ახალ ცდას სტამბის დაარსებისას. ადვილად შეიძლება დამალვა წიგნებისა, გაზეთებისა, ხალხისა, მაგრამ როგორ დამალოს კაცმა საბეჭდავი მანქანა, რომელიც თავისს ხმაურობით, ქაღალდის მოტან-წაღებით ყველას აგებინებს თავისს არსებობას. მრავალი უნაყოფო ცდის შემდეგ, ახალ სტამბის დაარსება არა თუ საძნელოდ, შეუძლებლად და უნაყოფო ოცნებადაც მიაჩნდათ, რომელიც აუარებელ ფულსა ნთქავდა და საუკეთესო ხალხს ხელიდან აცლიდა ორგანიზაციას. საიდუმლო სტამბების არსებობას ამიტომ ჯვარი დაესვა.

მაგრამ გამოჩნდა ისეთი მეოცნებე, რომელიც არას გზით არ ეთანხმებოდა დანარჩენებს და ამტკიცებდა, რომ გამართავდა საიდუმლო სტამბას თვით პეტერბურგში, თუ საჭირო თანხას მისცემდნენ. ეს მეოცნებე იყო არონა ზუნდელევიჩი, ქალაქ ვილნოდან, ერთის ღარიბ ებრაელის შვილი. იმ ორგანიზაციაში, რომელსაც ის ეკუთნოდა, სასაცილოდაც არა ჰყოფნოდათ მისი მოსაზრებანი. მაგრამ რკინა ხომ ქვასაც აპობს და ზუნდლევიჩსაც აუსრულდა თავისი წადილი, ორგანიზაციამ, ბევრის ყოყმანის შემდეგ, მისცა 4,000 მანეთი სტამბის მოსაწყობად. ამ ფული წავიდა საზღვარ გარედ, მოიტანა პეტერბურგს სტამბის მოწყობილება, ასწავლა ოთხს თავის მეგობარს ასოთ-ამწყობობა და 1877 წელს პეტერბურგში მოაწყო პირველი საიდუმლო მშვენიერი სტამბა, რომელიც ღირსია ამ სახელწოდებისა, რადგან პირველად მხოლოდ მან დაიწყო წესიერად მუშაობა, დაჰბეჭდა ურიცხვი წიგნაკი და ბოლოს გაზეთის ბეჭდვასაც მიჰყო ხელი. ზუნდელევიჩმა ისე მარტივადა და გონივრულად მოაწყო სტამბა, რომ მთელი ოთხის წლის განმავლობაში მშვენივრად მუშაობდა, მიუხედავად პოლიციის ჩხრეკა-ძიებისა. პოლიციამ მხოლოდ შემთხვევით მიაგნო. მას გვარები შეშლოდა და ანაზდეულად წააწყდა სტამბას. სტამბა დაიღუპა, მაგრამ ერთხელვე დაწყებული საქმე არ შეჩერდა. პირველ სტამბას მოჰყვა სხვა მრავალი. მაგრამ, რითი უნდა ახსნას კაცმა საიდუმლო სტამბის არსებობა პოლიციისა და ჟანდარმების ცხვირწინ ისეთს ქვეყანაში, როგორიც რუსეთია? ეს აიხსნება იმ ხალხის თავგანწირულებით, რომელთაც თავს უდევდათ მისი ხელმძღვანელობა

სტამბაში მსვლელობა არავისა ჰქონდა, გარდა ერთისა; დანარჩენმა წევრებმა ორგანიზაციისამ არც კი იცოდნენ, სად იყო სტამბა. სიფრთხილე იქამდის მივიდა, რომ არა თუ ორგანიზაციის წევრებმა, რომელთაც სტამბა ეკუთვნოდათ არა იცოდნენ მისი გზა-კვალი, არამედ რედაქტორმა და მახლობელმა თანამშრომლებმაც არაფერი უწყოდნენ. ორგანიზაციის მხოლოდ ერთმა წევრმა იცოდა მისი ბინა და იმასა ჰქონდა მასთან დამოკიდებულება და მსვლელობა. „მიწასა და თავისუფლება“-ში მონაწილეობის დროს ეს როლი მე მხვდა. სტამბის გამგეს ვხვდებოდი ხოლმე პეტერბურგის ერთს რომელსამე მიყრუებულსა და სრულიად უშიშარს ქუჩაზედ. იქ ვაძლევდი დასაბეჭდს მასალას და ვართმევდი დაბეჭდილს. ის სწარმოებდა საქმე, რომ მე სტამბაში სიარული არ მიხდებოდა. მხოლოდ ერთხელ მომიხდა სტამბაში ყოფნა და აი რა შემთხვევისთვის. ეს მოხდა 30 ნოემბერს, სწორედ იმ დღეს, როდესაც უნდა გამოსულიყო პირველი ნომერი ჩვენის გაზეთისა. იმ დილით ჩემთან შემოვიდა ალ. მიხაილოვი და მიამბო, რომ გუშინ ტრანიცკისთან იყო, სადაც პოლიციასა და ჟანდარმებს მახე დაეგოთ მისთვის, მაგრამ როცა დასაჭერად გამოუდგნენ, მან ხერხს მიჰმართა—ხალხში აერია და ჟანდარმებსავით ყვირილი მორთო: „დაიჭით, დაიჭითო!“ და თან ხელით უჩვენებდა აიგერ, იქით გაიქცაო... პოლიციის თავგზა დაებნა და მიხაილოვიც უვნებელი გადარჩა. მე ძალიან მინდოდა ამ ცნობის მოთავსება ჩვენს გაზეთში, რათა გულზედ გამეხეთქა პეტერბურგის გრადონაჩალნიკი ზუბოვი, რომელიც ამტკიცებდა, რომ სტამბა პეტერბურგში არ არის, თორემ აქამდის აღმოვაჩენდიო. ამ ცნობის მოთავსება კი გაჰფანტავდა იმის ოცნებას.

ამ შემთხვევით ვისარგებლე და წაველ სტამბის სანახავად, სადაც დიდი ხანია მიწვევდა გამგე სტამბისა. სტამბა მდებარეობდა ნიკოლოზის ქუჩაზედ, ორის ნაბიჯის სიშორეზედ ნევის პროსპექტიდან. სიფრთხილით მივუახლოვდი სახლს და ნიშნეულად ჩამოვრეკავი ზარი, კარი გამიღო მარიამ კრილოვისამ და მე ისეთის მოწიწებითა და კრძალვით გადავაბიჯევი კარებს, თითქოს მართლ-მორწმუნე ქრისტიანე პირველად შედიოდა დიდებულს ტაძარშიო. სტამბაში მუშაობდნენ ოთხნი, ორი ქალი და ორი კაცი. დიასახლისი იყო მარიამ კრილოვისა. 45 წლის დედაკაცი. კარაკოზოვის საქმისა გამო იგი გადასახლებული იყო ერთს ჩრდილოეთის ცივს გუბერნიაში, მაგრამ იქიდან ჩქარა დაახწია სამშვიდობოს თავი და 1874 წლიდამ პეტერბურგში სცხოვრობდა გამოცვლილის გვარით. ის მედგრად მუშაობდა სარევოლიუციო ორგანიზაციებში 1880 წლამდის, როდესაც შეიპყრეს „ჩორნი პერედელი“-ს სტამბაში. ამ რიგად, მთელის 16 წლის განმავლობაში იგი ჩაუფერხებლივ მუშაობდა იმ საქმისთვის, რისთვისაც თავი შეეწირნა, ყოველთვის საძნელო და საშიშარ საქმეებსა ჰკიდებდა ხელს და წოველთვის პირნათლად ასრულებდა საქმეს. ვასილი ბუხი, შვილი გენერლისა და ძმისწული სენატორისა, სცხოვრობდა მასთან, როგორც მდგმური, იმას ჰქონდა პასპორტი, რომელიდაც სამინისტროს მოხელისა და მუდამ დღე დანიშნულს დროს გადიოდა სახლიდან უშველებელის პორთფელით ხელში, რომლითაც მიჰქონდა დაბეჭდილი გაზეთის ნომრები და მოჰქონდა დასაბეჭდი ქაღალდი, ის იყო ახალგაზრდა, ასე 26—27 წლისა, ფერმკრთალი, დიდკაცურის შეხედულობისა და ისეთი უწყინარი და ჩუმი, რომ ზოგჯერ მთელის დღის განმავლობაში ხმას არ ამოიღებდა, იგი იყო შუამავალი სტამბისა და რედაქციის შორის.

გვარი მესამე ასოთ-ამწყობისა გაუგებარი დარჩა. უკვე სამი წელიწადი გასულიყო, რაც ორგანიზაციაში მუშაობდა და ყველას პატივისცემა და სიყვარული დაემსახურებინა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ნამდვილი სახელი და გვარი არავინ იცოდა, ყველანი მეტ სახელად „ფრინველს“ ეძახდნენ. როცა ოთხის საათის თავგანწირულის ბრძოლის შემდეგ „ხალხის თავისუფლების“ სტამბამ, სადაც

83. **თავისუფალ სვანეთისაგან**: „თავისუფლების მუშაკს—ილია ჭავჭავაძეს“. (სვანების გვირგვინი, გაკეთებული ჯიხვის რქებისა და ცოცხალ ყვავილებისაგან).

84. **ქუთაისის სავაჟო გიმნაზიელებისაგან**: „ჩვენს ეროვნულს სიამაყეს ილიას“.

85. **ქუთ. წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლისაგან**: „დიდებულ მწერალს და ჩვენს მოძღვარს“.

86. **გორის სამოქალაქო სასწავლებლის მოსწავლეთაგან**: „უკვდავ ილიას“.

87. **პროფესორ პეტრიაშვილისაგან**: „დიდებულ მგოსანს და საზოგადო მოღვაწეს“.

88. **ტფ. დედათა მეორე გიმნაზიის ქართველ მოსწავლე ქალთაგან.**

89. **აბასთუმნის ქართველებისაგან**: „ცხარე ცრემლით ვსტირით შენს დაკარგვას“.

90. **სოფელ ქვიშხეთის მცხოვრებლებისაგან**: „სასიქადულო მამულიშვილს“.

91. **ტფ. ქალთა მეოთხე გიმნაზიისაგან**: „მაგრამ, პოეტო, საყვარელო, ხარ ბედნიერი, რომ შენი ლექსი სიკვდილითაც ვერა გკლავს შენა!“

92. **ქუთ. რეალურ სასწავლებლის მოწაფეთაგან**: „საქართველოს დიდებას, განსპეტაკებულ ზნის, ენის და სამშობლოსადმი სიყვარულისა ილია ჭავჭავაძეს“.

93. **ტფ. ქალთა მესამე გიმნაზიის უფროს მოწაფეთაგან**: „დიდებულს მგოსანს ილია ჭავჭავაძეს“.

94. **ტფ. ქართულ გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოებისაგან**:

«საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.»

95. **თელავის წმ. ნინოს სასწავლებლისაგან**: „მტერთათვისაც, რომელთა თუნდ დახვარი მკრან, გთხოვდე შეუნდე; არ იციან, რასა იქმან“.

96. **ტფ. მონარდეთა პროფესიონალურ საზოგადოებისაგან**

97. **მოსკოვის ქართველ საზოგადოებისაგან**: „საქართველოს დიდებულ შვილს“.

98. **მეტეხის ციხის პატიმართაგან**: „დაუვიწყარს მგოსანს ილიას“.

99. **ქუთაისის ფარმაცევტებისაგან**: „შენი სიკვდილით დაობლდა ქართველი ერი“.

100 **წიგნის მაღაზია „იმერეთისაგან“**: „ერის კულტურის დამშვენებელ მესამოცე წლების ნიჭიერს ილია ჭავჭავაძეს“.

101. **სოფ. შილდის გლეხობისაგან**:

ვაჟკაცად იმას არ ვაქებთ,
ვინც რომ ავისა მქნელია,
ვაჟკაცად იგი გვიქია,
ვინც უბედურთა მხსნელია!

102. **ტფ. საკომერციო სასწავლებლის ქართველ მასწავლებლებთა და მოსწავლეთაგან**: „ქართველ ერის დიდებულ და დაუვიწყარ მგოსანს“.

103. **სურამის ქართველ საზოგადოებისაგან**: „ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება და გზა უვალი შენგან თელილი, მგოსანო ჩემო, მაინც დარჩება“.

104. **ნამალადევიელთაგან**: „რომ ბედში მუდამ შენ ძმად მიგაჩნდეს, ეგ ჯერაფერი სიყვარულია; საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“.

105. **ს. რუისპირის საზოგადოებისაგან**: „ჩვენს განათლებულს დაუვიწყარ მამას“.

106. **ტფ. ნაფიც ვექილებისაგან**: „Пусть арфа сломана, а поэтъ еще рыдаетъ“.

(შემდეგი იქნება)

## ახალი ამბავი

◆ **კიდევ ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ**. განსვენებულ ილია ჭავჭავაძის ვერაგულად მოკვლის ამბავი დაწვრილებით დღემდე არა ყოფილა გაზეთებში დაბეჭდილი. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ეს მკვლელობა ყაჩაღების საქმე არ არის, რადგან ყაჩაღები, თუ მოსაკლავად გაიმეტებდნენ მოხუცს, ერთ-ორ ტყვიას აკმარებდნენ და ასე მხეცურად არ დაასახიჩრებდნენ.

მართლაც და განსვენებული მგოსანი საშინლად დასახიჩრებული იყო. შუბლში მორტყმული ჰქონდა ორი ტყვია. მარცხენა საფეთქელში რაღაც ჩლუნგი იარაღი დაერტყათ, ალბათ თოფის კონდახი. ერთი ხელი მაჯაზე ჰქონდა გადატეხილი. მესამე ტყვია მოხვედრილი ჰქონდა გულში, მეოთხე—ხელში. ზურგში რამდენსამე ადგილას ხანჯალი ჩაეცათ. უფრო საზარელი ის იყო, რომ უმწეო კაცისათვის ცხრა ნეკნი ჩაელეწათ, ხუთი—მარჯვნივ, ოთხი მარცხნივ. როგორც ეტყობა, როცა ტყვია მოხვედრიაა, ილია გზატკეცილზე გადმოვარდნილა, ბარბაროსებს თოფის კონდახები დაუშენიათ. ასევე ულმრთოდ მოჰქცევიან მხეცები ილიას მოხუც მეუღლეს ოლგას. მისთვის ძალზე უცემიათ კონდახით. მთელი სახე დასახიჩრებული აქვს: მას ჩლუნგი იარაღით ათი ჭრილობა აღმოაჩნდა. მძიმე ჭრილობა ო. თ. ჭავჭავაძისას აქვს მარცხენა თვალის ქვემოდ. ისე ძლიერ დაურტყამთ იარაღი, რომ ძვალი გატეხილა. 2 ჭრილობა თვალის ზემოდ აღმოაჩნდა, ხოლო მეოთხე მარცხენა ყურთან. საბედნიეროდ, ჭავჭავაძისა ცოტად მოკეთდა და ეხლა სრულ გონებაზეა.

◆ **ვანის ვალაიეტის გენერალ-გუბერნატორის ალიბეის მოკვლა.** 10 სექტემბერს საღამოთი ბათუმში მოჰკლეს სტამბოლს მიმავალი ვანის ვილაიეტის გენერალ-გუბერნატორი ალი ბეი. საქმე ასე ყოფილა: ალი ბეი სტამბოლში იყო დაბარებული. ბათუმში ჩასულა ვანიდან და ჩამომხტარა „იმპერიალის“ სასტუმროში. 10 სექტემბერს საღამოთი, როცა ალი ბეი სასტუმროში ბრუნდებოდა, ვიღაცამ ესროლა და იქვე მოჰკლა. სროლის დროს დაიჭრა ერთი პოლიციელი. როგორც ეტყობა, მკვლელი გუბერნატორს ვანიდანვე მოსდევდა. მკვლელმა არეულობით ისარგებლა და მიიმალა. ამ მკვლელობის გამო, როგორც სააგენტოს დეპეშა გადმოგვცემს, რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ოსმალოს პეტერბურგელ ელჩს სამძიმარი და მწუხარება გამოუცხადა, რომ ასეთი საქმე რუსეთის მიწა-წყალზე მოხდა. რუსის სტამბოლელ ელჩს კიდევ დაევალა ასეთივე სამძიმარი გამოეცხადოს ოსმალეთის მთავრობას.

◆ **პოლიტიკურ საქმის გადადება.** 10 სექტემბერისთვის გორში განსახილველად დანიშნული იყო პოლიტიკური საქმე გიორგი მაჩაბლისა და სხვათა, მაგრამ გადაიდო, ზოგიერთ მოწმეთა გამოუცხადებლობის გამო.

◆ **მოსწავლენი სამხედრო სამართალში**. გუშინ, 12 დეკემბერს, კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოში დაიწყო საქმის გარჩევა ტფ. სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეებად ნამყოფების 3 პოპოვისა და ი. კესინოვისა, რომელთაც ჰბრალდებათ წინასწარ-განზრახვით სახელოსნო სასწავლებლის დირექტორის ვ. მ. პობედიმოვის მოკვლა.

◆ **ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა საქმე**. ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეთა საქმის გარჩევა განაგრძო გუშინ 12 სექტემბერს სასამართლო პალატამ, რომელმაც მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევა დაამთავრა გუშინ, ნაშუადღევის 1 საათზედ. რადგან ზოგიერთ მოწმის ჩვენებისა და ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის თანაშემწის ინჟინერ ივანოვის ჩვენების შორის განსხვავება იყო, პალატამ მოწმენი ერთმანერთს პირში დაუყენა და განაგრძო მათი გამოკითხვა, რამაც ერთ საათზე მეტ ხანს გასტანა. შემდეგ სიტყვები დაიწყეს ბრალმდებელმა და ვექილებმა. გაგრძელება იქნება დღეს, 13 სექტემბერს. განაჩენსაც, ალბად, დღეს გამოაცხადებს პალატა.

◆ **უბედურება**. 11 სექტემბერს, საღამოს 7 საათზედ, პოლიციის მე-3 ნაწილში, საპერნი ქუჩაზე მე-26 № სახლში შემდეგი უბედურება მოხდა: ამ დღეს ამ სახლში გადაიდა საზღვრის დარაჯთა შტაბი. გადაიტანეს ფულის კასაც. როცა კასსა კიბეზე აჰქონდათ, მარმარილოს კიბე ჩაიმტვრა და სამი მუშა ალექსანდრე და პეტრე რუხვაძეები და სარქის კარაპეტოვი ქვეშ მოიტანა. დასახიჩრებული მუშები საავადმყოფოში გაჰგზავნეს. მუშების მორჩენა საეჭვოა.

◆ **ჯარიმა** როგორც მკითხველებმა იციან, ტრამვაის დირექციამ მთელი ზაფხული ისე გაატარა, რომ სავალდებულო დადგენილებანი ზაფხულობით ტრამვაის მიმოსვლის შესახებ სისრულეში არ მოიყვანა. ამის გამო ქალაქის საბჭოს კომისიამ დაადგინა, 11 ივნისიდან დღემდე უსახელო საზოგადოებას გადაახდევინოს 45,750 მან.

◆ **მაჰმადიანთა სასწავლებელი** 11 სექტემბერს ტფ. სპარსელთა საქველმოქმედო საზოგადოების ინიციატორობით გაიხსნა ტფილისში მაჰმადიანთა პირველი სასწავლებელი. სასწავლებლის გახსნას დაესწრნენ მაჰმადიანთა სასულიერო პირნი, მოქალაქენი, სომხობა და ქართველობა, აგრეთვე სამოსწავლო ოლქის წარმომადგენელნი. კურთხევის შემდეგ დამსწრეთ საუზმე გაუმართეს. სწავლა ახალს სასწავლებელში გუშინ, 11 სექტემბერს დაიწყო.

◆ **ქალებით ვაჭრობა**. პოლიციამ 11 სექტემბერს დააპატიმრა ახალციხის მცხოვრებნი ხასად-იზრაილ კობაშვილი, დავით დავიდოვი და დავით ბედნიაშვილი, რომელნიც ქალებით ვაჭრობდნენ თურმე. დაპატიმრებულთ პოლიციის გამოძიებით ნიჟეგოროდის იარმუკიდან მოტყუებით სამი ქალი წამოუყვანიათ და უნდოდათ აქ გაეყიდნათ.

◆ **თავის მოკვლა**. 9 ენკენისთვეს ღამე რევოლვერით თავი მოიკლა ოლღა ძლენტმა. მიზეზი თავის მოკვლისა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ის იყო, რომ მან ვერ გაუძლო შარშან ბაქოში მოკლულ პოლიცმეისტრის თანაშემწის მისი მეუღლის ძლენტის მოკვლის დარდს. დარჩა სამი მცირე წლოვანი ბავშვი. თავის მკვლელი 26-27 წლის დედაკაცი იყო.

◆ **საბჭოს დადგენილების გაბათილება.** ამას წინად ტფ. ქალაქის საბჭომ დაადგინა, რომ სახელოსნო სასწავლებელში საგნების სწავლა რუსულის გარდა სამშობლო ენებზედაც იქნეს შემოღებული. კავკასიის ნამესტნიკს, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთებს ატყობინებენ, ეს დადგენილება არ დაუმტკიცებია.

◆ **ქალების კრება**. სთხოვენ იმ ქართველ ქალებს, რომელნიც თანაუგრძნობენ ილია ჭავჭავაძის ხსოვნას, მობრძანდნენ დღეს, 13 ენკენისთვეს, საღამოთი, „ნაკადულის“ რედაქციაში.

◆ **ნეიგებაუერის ჩამოსვლა**. 11 ენკენისთვეს პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდა ამიერ კავკასიის რკინის გზების უფროსი გენერალი ნეიგებაუერი.

◆ **ავტომობილების მიმოსვლა**. კავკასიის ნამესტნიკმა სთხოვა მინისტრთა საბჭოს, რომ მას მიეცეს უფლება 6 წლის ვადით მისცეს ვისმეს მონოპოლია კავკასიაში ავტომობილით მიმოსვლის გამართვისა. უფლება პირობების შემუშავებისა ეძლევა ნამესტნიკის საბჭოს.

◆ **ეპისკოპოსი ალავერდისა**. სატახტო გაზეთები იუწყებიან, რომ ალავერდის ეპისკოპოსად ნიშნავენ დონის სემინარიის რექტორს არქიმანდრიტს დავითს, ტომით ქართველს.

◆ **მიწები**. თიონეთის მაზრის რამდენსამე სოფელს შუამდგომლობა აღუძრავს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ რამდენსამე მაზრაში თავისუალი სახელმწიფო მიწები მიეცეს.

◆ **ტფილისის გუბერნატორი**. ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ტფილისის გუბერნატორად დაინიშნა საერო სამეურნეო განყოფილების გამგე ლიუბიჩი ერმოლოვიჩი ლოზინო-ლოზინსკი.

◆ **ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულება.** სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს გორის მაზრის სოფ. მეღვრეკისის მცხოვრები გიგუცა კარიაშვილი, სოფ. ბროწლეთისა—ზურაბ სურამელი და ზნეთისა—გიორგი მესხიშვილი. ამათ ჰბრალდებათ მოკვლა 1906 წელს სოფ. მერეთში აზნაურ ალექსანდრე ფურცელაძისა, ტყვიაში იაგორ პაპიაშვილისა, თავ. ფავლენიშვილებისა და ტატიშვილებისა. იგზავნებიან: პერმის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე გურჯაანელნი ლაზარე ნიკოლაშვილი, კოტე ბალდასაროვი, ილიკო ბალდასაროვი, აბრია ბეზარაშვილი, სანდრო [illegible] ვიატკის გუბერნიაში—ოზაანელი ალექსი ოზაშვილი; არხანგელის გუბერნიაში—გამოქცეული [illegible] ლი ს, მღებრიშვილი. ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალა—ო. ქსაიანს, მ. სიმონს, მედუქნეს ალ. გამყრელიძეს, ხოლო მისი დუქანი დაიკეტა. 25 მანეთით დააჯარიმეს სახლის პატრონები: შ. მაისურაძე, ი. მაისურაძე, თავ. არღუთინსკი, ალ. წამალაშვილი და ან. სალტიში; სარდაფის პატრონი მიხ. სოსიევი.

◆ სიღნაღის მაზრის ბოქაული გოიტენიკოვი დაინიშნა აბასთუმნის ბოქაულად, ხოლო სიღნაღის ბოქაულად დაინიშნა თავ. თარხან მოურავი.

◆ საგუბერნიო გამგეობის მდივანი ბებუთაშვილი დაინიშნა საგანგებო საქმეთა მოხელედ ტფ. გუბერნატორთან.

◆ რუსეთში საერობო უფროსად ნამყოფი ბეიდემანი დაინიშნა ტფ. საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოს მდივნის თანამდებობის აღმასრულებლად.

◆ გვთხოვენ დავბეჭდოთ: «ქ-ნმა ანიკო გულაბოვისამ შემოსწირა სურამის სამკითხველოს 6 მან. 6 კ. ქართული წიგნები, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით. რწმუნებული სამკითხველოსი შალიკაშვილი».

◆ გვთხოვენ დავბეჭდოთ: ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გადაუხადო შიუკაშვილის ქალებს, მარიამ ვახტმაჩაბელისას, მღ. ნათიძეს, ნოშრევან წერკვილაძეს, თომა ჯანყარაშვილს, გრიგოლ ყიფშიძეს, სოფრონ მგალობლიშვილს, ია ეკალაძე-ცინცაძეს, მელქუმ რაფაელოვს და ყველა იმათ, ვინც კი ადამიანური დახმარება გაუწია ჩვენს დაზარალებულ ამხანაგობას „ნდობა“-ს. გ. ს—შვილი.

◆ მცხეთაში 8 სექტემბერს, როდესაც გოლა კოზმანაშვილის ცოლი ლამფას ანთებდა, უცრად ცეცხლი წაეკიდა. მალე ცეცხლი იმის ორ ბავშვსაც წაეკიდა. წიოკობის დროს ხალხი მიეშველა და დიდ უბედურობას გადაარჩინა. სამივენი ძალიან დაშავებულნი აღმოჩნდენ. კვირას, 9 სექტემბერს, პატიკო გედავნიშვილის გომურის სახურავს ცეცხლი გაუჩნდა. სულ გადიბუგა შიგ თივა და სახური. ცეცხლი რამდენისამე ხნის შემდეგ სოფელმა ჩააქრო.

◆ სიღნაღის მაზრის დედოფლის წყაროს გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ მთავრობის წინაშე, რომ სასოფლო სამეურნეო თანხიდან სესხი მიეცეთ.

◆ ტფილისის მაზრის სოფელ გაუბანის, ვაშლოვანის და ბორბალოს გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ მიეცეთ სესხი სასოფლო სამეურნეო თანხიდან პურის სასყიდლად.

## ქუთაისის ქრონიკა

◆ კვირას, 9 ენკენისთვეს, განსვენებულ ილია ჭავჭავაძის დასაფლავების დღეს, ქუთაისის საკათედრო ტაძარში მრავალ ხალხის თანადასწრებით გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი. წარმოთქმულ იქნა რამდენიმე სიტყვა.

ამავე დღეს რეალურ სასწავლებლის ეკლესიაში მოსწავლეთა და მათის მშობლების თანადასწრებით ილია ჭავჭავაძის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნა პანაშვიდი. პანაშვიდის დაწყებამდე დიკ. ცაგარეიშვილმა ქართულ ენაზე წარმოსთქა სიტყვა.

◆ ათს ამ თვეს ქუთაისში დანიშნული იყო წვრილ მემამულეთა კრება, რომელსაც უნდა აერჩია რწმუნებულნი მემამულეთა სამაზრო კრებაზე. გამოცხადდა დიდ ძალი ხალხი, რომლის უმრავლესობას შეადგენდნენ აზნაურნი. მოსულნი დიდ ხანს უცადეს თავმჯდომარეს—ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ან მის მოადგილეს, მაგრამ ვერ ეღირსნენ და როცა გადაუწყდათ, თითონ დაიწყეს თავმჯდომარის ძებნა. კითხვა კითხვით აღმოჩნდა, რომ მაზრის წინამძღოლი ამ ჟამად ქუთაისში არ არის და მას თავის მხრით არავისთვის მიუნდვია კრებაზე თავმჯდომარეობა, უამისოდ კი ვერავინ ვერ იკისრა თავმჯდომარეობა. ამნაირად, 10 სექტემბერს დანიშნული კრება არ შესდგა და საროდიოდ მოხდება იგი, კაცმა არ იცის. მოსული ხალხი მეტად უკმაყოფილოდ დაბრუნდა.

გლეხთა კურიის რწმუნებულნი, რამდენადაც ჩვენ შევიტყეთ, უფროს ერთ შემთხვევაში მემარცხენეთა პარტიებს ემხრობიან, ისე, რომ ეჭვი არ არის, გლეხთა მხრით ს. დ. იქნებიან არჩეულნი. საქმის გადამწყვეტი ხმა ექნებათ მემამულეთ წარმომადგენლებს და ამიტომ ს. დ. აქ მუშაობენ დაუღალავად.

◆ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ადმინისტრატიულის წესით პერმის გუბერნიაში იგზავნება ამას წინად დაჭერილი ვარლამ იმნაძე.

◆ 12 ამ თვის [illegible]

---

...გი მუშაობდა, ვეღარ გაუძლო, მან თავგანწირული სიკვდილი ამჯობინა და რევოლვერით მოიკლა თავი. ამ გვარად მისი გვარი და სახელი არავინ უწყის დღესაც. მისი მდგომარეობა ყველაზედ უფრო უკიდურესი და მძიმე იყო, იგი პოლიციის ნაწილში ჩაწერილი არ იყო და იმისი შიშით, რომ არ შემამჩნიონო, მთელი თვეობით სახლში იჯდა ოთხ-კედელს შუა გამომწყვდეული. საზოგადოდ ყველა სტამბაში მომუშავენი გარეშე ცხოვრებასთან სწყვეტდნენ ყოველსავე დამოკიდებულობას და ნამდვილ განდეგილ ბერებს მოგაგონებდნენ. „ფრინველის“ მდგომარეობა ხომ უკიდურესზედ უკიდურესი იყო. ის ჯერ ისევ ახალგაზრდა იყო, 22—23 წლისა, მაღალი, გამხდარი, თვალებ ჩაცვივნული, ძალზედ გაყვითლებული, რაიც აშკარად მოწმობდა, რომ იგი მოკლებული იყო სუფთა ჰაერს და გამუდმებით იმყოფებოდა ტყვიით გაჟღენთილს ჰაერში. ჭლექი უკვე შეჰპაროდა, ეს თითონაც კარგად იცოდა, მაგრამ ვერ მიეტოვებინა სტამბა, რადგანაც გამოცდილი ასოთ-ამწყობი იყო და იმის მაგივრობას ვერავინ გასწევდა; მეოთხე ასოთ-ამწყობი ქალი იყო, რომელიც ვითომ მოსამსახურე იყო კრილოვისა. გვარი ქალისა დამავიწყდა. ის იყო ასე 18—19 წლის ახალგაზრდა, კოხტა, მოხდენილის პირისახისა, რომლისთვისაც გამუდმებით მუშაობას ტყვიით გაჟღენთილს ჰაერში თავისი ბეჭედი დაესვა. იმის მკრთალს სახეს ამგვარად ეტყობოდა ზედ-გავლენა იმ ტანჯვისა, რასაც ჰგრძნობს კაცი, რომელიც მუდამ წუთს შიშში არის და გამუდმებით მოლოდინშია დაჭერისა და ციხე საპატიმ-

ჩვეულებრივ მისალმების შემდეგ, ავუხსენი მიზეზი ჩემის მისვლისა და ვსთხოვე მოეთავსებინათ ცნობა მიხაილოვის გადარჩენის შესახებ. ჩემი აზრი მოიწონეს, მეც მოვითხოვე ქაღალდი და იქვე დავწერე გაზეთისათვის ასაწყობათ. შემდეგ ყველა ოთახი დამატარეს და ამიხსნეს, თუ როგორ სწარმოებს მუშაობა. თვით სტამბა მარტივს რასმეს წარმოადგენდა: რამდენიმე უჯრა ასოები, დიდი მაუდით შემოხვეული ცილინდრი, რომელიც პრესის მაგივრობასა სწევდა და რამდენიმე ქოთანი სტამბის მელნით სავსე. ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, რომ თხუთმეტ წუთში შელაგება შეიძლებოდა იქვე მდგომ შკაფში. ამიხსნეს ტეხნიკა მუშაობისა და ის თვალთმაქცობა, რომელსაც მიჰმართავენ ხოლმე, რათა მეეზოვესთვის, რომელსაც შეშა და წყალი შემოჰქონდა სახლში, არაფერი ეჭვი არ აეღებინებინათ. ერთხელვე მიღებული ჰქონდათ, რომ არ მორიდებოდნენ მეეზოვეს და რაც შეიძლება ხშირად ეჩვენებინათ ყველა ოთახები. ამისთვის ასოთ-ამწყობნი სარგებლობდნენ ყოველისავე შემთხვევით, რომ შიგნით უკანა ოთახები ეჩვენებინათ, სადაც, რასაკვირველია, სტამის მოწყობილება წინათვე იქნება ალაგებული. დიდხანს ვერ მოეგონებინათ მიზეზი, რომ უკანა ოთახები ეჩვენებინათ. ბოლოს კრილოვა მივიდა მეეზოვესთან და უთხრა, უკანა ოთახში საიდანღაც ვირთაგვა გაჩნდა და წამომო, ჰკალიო. მეეზოვე გაჰყვა, ვირთაგვა, რასაკვირველია, ვერ იპოვნა, მაგრამ მიზანი უკვე მიხწეული იყო: იმას უკვე ყველა ოთახები მოვლილი ჰქონდა და შეეძლო დაერწმუნებინა ყველანი, რომ არაფერი საეჭვო არ შეუმჩნევია.

ასოთ-ამწყობნი მხიარულად იცინოდნენ, იგონებდნენ რა ყველა თავისს თვალთმაქცობას. მე კი სიცილისა არა მცხელოდა. გული დამეღარა და ამიკვნესდა ამ ხალხის ნახვის შემდეგ. ძალა-უნებურად შევადარე იმათი უბადრუკი ცხოვრება ჩვენსას და შემრცხვა. მთელი ჩვენი მოქმედება, ჩვენი ყოფა-ცხოვრება და ხალხში მოღვაწეობა დღესასწაულია ამ ოთხკედელ შუა გამომწყვდეულ, დღე მუდამ მოშხამულს ჰაერში მომუშავეთა ცხოვრებასთან შედარებით.

მე გამოვეთხოვე. ნელის ნაბიჯით ჩამოვიარე გძელი კიბე და გაველ ქუჩაზედ მთლად აღელვებული და აღშფოთებული. სხვა და სხვა ერთმანეთის მოწინააღმდეგე აზრები მახრჩობდნენ. ვფიქრობდი ამ საბრალო ხალხზე, რევოლიუციონურს მოძრაობაზედ, რომლისთვისაც ამ განდეგილს ხალხს თავი ენაცვალებინათ, ვფიქრობდი ჩვენს პარტიაზედ.

უცებ ნათელმა აზრმა სრულიად გაჰფანტა ჩემი დარდები და დამაშოშმინა. განა ეს თავგანწირული და ზვარაკად შეწირული ხალხი არ არის ნამდვილი წარმომადგენელი ჩვენის პარტიისა? ეს სტამბა თავისის მოწყობილებით ნუ თუ არ არის განხორციელება მთელის სარევოლიუციო მოძრაობისა რუსეთში! არა, ჩვენ უძლეველნი ვართ და მომავალიც ჩვენია, ვფიქრობდი მე: ვინემდის კიდევ გვეყოლება ასეთი თავგანწირულნი გმირთა გმირნი, რომელთაც თავიანთი თავი ქვეყნისთვის უნაცვალებიათ, ჩვენ უძლეველნი ვართ და ჩვენ საქმესაც ბრწყინვალე მერმისი მოელის.

ფ. ბდილი.

კრება ქუთაისის თავად-აზნაურობისა, რომელმაც გარდა ორი ამომრჩევლის არჩევისა, უნდა განიხილოს საკითხი—სასტიპენდიოთ დასტოვოს უმაღლესად მოცემული 20.000 მან. წელიწადში თუ ქართულ გიმნაზიის შენობის აგებას მოანდომოს. სტიპენდიების საქმე იწეწ-დაიწეწა, ამიტომაც უმრავლესობა იმ აზრს ემხრობა, რომ ფული შენობის დამთავრებას მოხმარდეს.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**რ უ ს ე თ შ ი.**

11 სექტემბერი.

**სევასტოპოლი.** კარაბელნი სლობოდკაში პოპოვიჩის სახლში აღმოაჩინეს 30 ყუმბარა, ასაფეთქებელი მასალა, პრეპარატები და რევოლვერები. დააპატიმრეს ორი კაცი.

**ვარშავა.** შეიპყრეს სოფლის მასწავლებელი, რომელიც პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მებრძოლ რაზმის ხელმძღვანელი იყო.

ლოძაში ხელთ ჩაიგდეს მიწერ-მოწერა, საიდანაც სჩანს, რომ პოლონელთა პარტია „პროლეტარიატი“ გაუქმებულია. პარტიის ყველა წევრი დაპატიმრებულია.

**პოლტავა.** რომნში დაიწვა სამხედრო უწყების საქონლის საწყობი. ზარალი 100,000 მანეთია.

**ვორონეჟი.** ბრბომ მოჰკლა კაშერინინოვის მამულის ცეცხლის წამკიდებელი.

**გროდნო.** სოფ. კალილაში დაიწვა 117 სახლი, მთელი წლის ჰირნახული, ბევრი შინაური საქონელი და ფრინველი.

**ქერჩი.** როდესაც საღამოს მატარებელი უნდა დაძრულიყო, სადგურში შეიჭრა სამი სომეხი, ტელეფონი გააფუჭა და გაიტაცა 146 მანეთი. პოლიციამ მიაგნო მათ კვალს. ამბობენ, მათ საქონლის კასირის გაძარცვა სურდათო.

**პენზა.** მოკშანის მაზრაში გაძარცვეს კასა ნოვონიკოლსკის საკრედიტო ამხანაგობისა. წაიღეს 2782 მანეთი.

**ტაშკენტი.** საფოსტო მატარებლის დაძვრის წინ ოთხის ტყვიით დასჭრეს და გაძარცვეს მეარტელე, წაართვეს 11,000 მანეთი. მძარცველებმა მატარებელი გააჩერეს და გაიქცნენ. ხალხმა სროლა დაიწყო. ერთი დასჭრეს, მეორე შეიპყრეს. ფულის მეტი ნაწილი იპოვნეს.

11 სექტემბერს დასჭრეს უბნის ზედამხედველი, დააპატიმრეს ორი ბოროტგანმზრახველი.

**ქერჩი.** თევზის სამრეწველოებში არეულობა მოისპო.

**სევასტოპოლი.** შეიპყრეს სოც.-რევოლიუციონერების მებრძოლთა ერთი ჯგუფი. მათ სახლში აღმოაჩინეს არა-ლეგალურ ლიტერატურის საწყობი.

**ვარშავა.** ლოძში შეიპყრეს 151 მძარცავი. ისინი გამოეყვნენ პოლონელ სოციალისტურ პარტიას. ბრბოს მეთაურობდა ვილაც კამერი, სატეხნიკო სასწავლებელში კურს დამთავრებული.

**ოდესსა.** მიასოედოვის ქუჩაზე სროლა მოხდა ორ ჯგუფ შორის. დაიჭრა ორი გარეშე. წეს-რიგი აღადგინეს.

**სევასტოპოლი.** სამხედრო საზღვაო სასამართლოში ირჩევა საქმე ნოემბერში აჯანყებულ მატროსებისა.

**ყაზანი.** სოფ. გორკაში გაძარცვეს საარყე დუქანი. გლეხები და სტრაჟნიკები გამოუდგნენ, ტყეში დაეწივნენ და მძარცველები დახოცეს.

**პერემიშლი.** ცეცხლი წაუკიდეს სოფ. კამენკაში სუბოტინის ქალის მამულს, სოფ. ანატოპიევში კაკშინის მამულს. და სოფ. კუროვსკაში რიხტერის მამულს.

**პიატიგორსკი.** სად. მინერალნაია ვოდაში მოჰკლეს საიდუმლო პოლიციის აგენტი.

სტანიცა მარიინსკში შეიპყრეს კაპიტანი მოკრიცკი ქ. გეორგიევსკის სარევოლიუციო მოძრაობის მეთაური. მოკრიცკი 1905 წლიდან იმალებოდა.

**კელცი.** პოლიციამ და ჯარმა ალყა შემოარტყა ანდრეევის მაზრაში სოფ. გორკას და სროლის შემდეგ შეიპყრო ოთხი კაცი, რომელთაც წინად განეზრახათ კიევში ანდრეევის ეკკლესიის წინამძღვრის გაძარცვა.

**პოლტავა.** პერეიასლავის მაზრის სოფ. პროცევოში დაიწვა საზოგადო პურის მაღაზია და 48 სახლი.

**პეტერბურგი.** გამოაქვეყნეს ინსტრუქცია არჩევნები წეს-რიგის შესახებ ქ. პეტერბურგსა, მოსკოვსა, კიევსა, ოდესსა და რიგაში.

**კიშინევი.** სოროკსკის მაზრაში 11 ვოლოსტი გლეხებმა აირჩიეს 22 რწმუნებული. ყველანი თავიანთ თავს უპარტიოდ ასახელებენ.

**ყაზანი.** ჩებოქსარსკის, კოზმოდემიანსკის და სფიაჟსკის მაზრებში გლეხებმა აირჩიეს 66 რწმუნებული. ამათგან 3 კადეტია, 38 უპარტიო მემარჯვენე, 10 მონარქისტი, ერთი უპარტიო მემარცხენე.

**კიშინევი.** ბენდერის მაზრებში მღვდლებმა აირჩიეს 16 რწმუნებული. ყველანი მემარჯვენეობენ.

**ვიტებსკი.** დვინსკის, ლიუცინსკი და რეჟეცკის მაზრებში მემამულეთა არჩევანი არ შესდგა ამრჩეველთა გამოუცხადებლობისა გამო. ვიტებსკის, გოროდოკსკის, ლეპცელსკის და ნეველსცკის მაზრებში აირჩიეს 20 რწმუნებული, იმათგან ერთი კადეტია, ერთი მემარჯვენეობს, ერთი უპარტიო ზომიერია, 5 უპარტიო მემარჯვენე, 11 უპარტიო და ერთი მემარცხენე.

**ლიუბლინი.** გრუბეშკოვსკის, ბელგორასსკის, ტომაშევსკის და ზამოსტსკის მაზრებში მემამულეებმა აირჩიეს 172 რწმუნებული. ამათგან 2 ოქტომბრისტია, 1 ავტონომისტი, 52 ნაროდოვცი, 33 უპარტიო, და 9 ზომიერი. 75 ვინაობა არ იციან.

**ტამბოვი.** კირსანოვსკის, უსმანსკის და კოზლოვსკის მაზრებში წვრილ მემამულეთ აირჩიეს 7 რწმუნებული, რომელნიც თავიანთ თავს მემარჯვენეებს უწოდებენ. ყველა მაზრების მღვდლებმა (გარდა ტემნიკოვსკისა) აირჩიეს 244 რწმუნებული. ამათგან 51 თავის თავს მემარჯვენედ ასახელებს, 22 ზომიერად, 5 მემარცხენედ, დანარჩენთა ვინაობა გამოურკვეველია.

**ტამბოვი.** შვიდ მაზრაში გლეხებმა აირჩიეს 524 რწმუნებული; ამათგან 316 თავისს თავს მემარჯვენედ ასახელებს, 57 უპარტიო მემარჯვენედ, 55 ზომიერად და 1 მემარცხენედ.

**პენზა.** გოროდიშჩენისა და კრასნოსლობოდის მაზრებში აირჩიეს 92 რწმუნებული. მათი ვინაობა გამოურკვეველია. კორენსკის მაზრაში აირჩიეს 38 რწმუნებული. იმათგან 37 მემარჯვენეა და ერთი მემარცხენე.

**პოლტავა.** პერეიასლავის, ლოხვიცკის და მირგოროდის მაზრებში გლეხებმა აირჩიეს 68 რწმუნებული; იმათგან 1 ს.-რევოლიუციონერია, 2 რუსთა კავშირის წევრი, 1 გლეხთა კავშირის წევრი, 19 მემარჯვენე, 24 უპარტიო, ერთი მონარქისტი, 17 მემარცხენე და 2 უკიდურესი მემარცხენე.

**კამენეც-პოდოლსკი.** 7 მაზრაში, გარდა ოლგოპოლისა, გლეხების მიერ არჩეულთა შორის 183 რწმუნებულის ვინაობა გამოურკვეველია, 2 რუსთა კავშირის წევრია, 9 მონარქისტი, 35 მემარჯვენე, 19 უპარტიო და 24 ზომიერი.

**ვიტებსკი.** რეჟეცკის და დვინის მაზრებში გლეხებმა აირჩიეს 104 რწმუნებული, იმათგან 8 მონარქისტია, 49 უპარტიო მემარჯვენე, 8 ლატიშთა ნაციონალურ პარტიისა, 9 მემარცხენეთა თანამოაზრე, 2 უკიდურესი მემარცხენე, 28 ვინაობა არ იციან.

**ჟიტომირი.** ოვრუჩსკის, ზასლავსკის და ნოვოგრადვოლინსკის მაზრებში მემამულეებმა აირჩიეს 144 რწმუნებული. მათი ვინაობა გამოურკვეველია.

**უ ც ხ ო ე თ შ ი**

11 სექტემბერი.

**კაზაბლანკა.** მარაკეშიდან იუწყებიან: მულეი-გაფიდი ექვსას ფანატიკურ თანამოაზრით და ზარბაზნებით გაემგზავრა შაუიას ტომის ადგილებისაკენ. ჯერ დანამდვილებით არ იციან, ფრანგების წინაამდეგაა მიმართული მისი გალაშქრება თუ სულთანის აბდულ-აზიზისა. ამბები მოწმობენ, რომ მულეი-გაფიდის მდგომარეობა, რაც სულთანი რაბატას უახლოვდება, თან და თან უარესდება.

**ტანჟერი.** სულთანი აბდულ-აზიზი 10 სექტემბერს დილით შევიდა რაბატაში.

**თეირანი.** ამბობენ, შაჰმა, პრინცებმა და წარჩინებულმა პირებმა ხელი მოაწერეს ორ მილიონ თუმანზე. იმედი აქვთ, რომ მოაგროვებენ სამ მილიონს. ამ თანხით შეიარაღებენ ჯარს, დანარჩენს მოახმარებენ ნაციონალურ ბანკის საჭიროებებს.

**პარიზი.** საფრანგეთის მთავრობამ მიიღო ცნობა გენერალ დრიუდის და ადმირალ ფილიბერისა ულადფეიამის წარმომადგენელთა შორის მომხდარ მორიგების შესახებ. მორიგება მოხდა შემდეგ პირობებში. მტრული განწყობილება შეჩერებულ უნდა იქმნას მორიგების დაწყების დღიდან, სხვა და სხვა ტომები ვალდებულნი არიან გაფანტონ და დასაჯონ ყოველ ნაირი შეიარაღებული ბრბოები მათ რაიონში. კაზაბლანკიდან 15 კილომეტრის მანძილზე შეიარაღებული მკვიდრნი არ უნდა გამოჩნდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში 100 დუროსი გადაბდებათ. შაუიას ტომი იხდის ორ მილიონს სამხედრო ხარჯს, ორი წარჩინებული პირი ფრანგებს მიეცემა მძევლად, კაზაბლანკის ბაზარი უნდა გაიხსნას 15 სექტემბერს და სხვა.

რედაქტორ-გამომცემელი

ე. აგალიშვილი.

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის**

# გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ მდგომარე წლის 1 სექტემბრიდან გაიხსნა ორი ადგილი ი. ხ. აბესალომოვის სახელობაზე დაარსებულ სტიპენდიისა ტფილისის მკვიდრ მოსწავლეთათვის. ამ სტიპენდიების წესდების თანახმად, ერთი ადგილი ეკუთვნის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში მოსწავლე ქართველს, ხოლო მეორე—ვაჟთა მეორე გიმნაზიაში მოსწავლე რუსს.

ვისაც სურს შეჰხვდეს ეს სტიპენდიები, უნდა თხოვნა წარმოადგინოს ტფ. ქალაქის გამგეობის მეორე განყოფილებაში არა უგვიანეს მდგომარე წლის 25 სექტემბრისა. უნდა წარმოადგინოს აგრეთვე დაბადების მოწმობის ასლი და ზემო დასახლებულ სასწავლებელთა მთავრობის მოწმობაც, რომ მთხოვნელი ნამდვილად იმ სასწავლებელში სწავლობს. უამ დოკუმენტებოდ თხოვნა არ განიხილება. (3—6.—1)


# ავადმყოფებს და სუსტებს

# „სპერმატინი“

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, **სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით:** არის „სპერმატინი“. იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების **ესენციაა**, იგი **ძალის მომმატებელია.** „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალ[illegible] და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. „სპერმატინი“ შედეგია **ბროუნ-სეკარის** შესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: **სისხლნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს,** ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, ჭლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**ავადმყოფთა წერილები.**

**ბ. ი. გ. ახობაძეს.** თითქმის მთელი ხუთი წელი ვიტანჯებოდი სისხლის ნაკლულევანებით, უკანასკნელს წელიწადს ძლიერ დავსუსტდი და შევიქენი ნამეტანი ნერვიანი. რაც დრო გადიოდა, უარესად ვხდებოდი და მოაკლდებოდა სიცოცხლე. დავკარგე მადა, ძილი და ენერგია. დამიწყო ფეხებისა და თავის ტკივილმა. ამ ხუთის წლის განმავლობაში ვღებულობდი სხვა და სხვა წამლებს, გამოწერილს სხვა და სხვა ექიმებისაგან, მაგრამ, ამაოდ ჩამიარა ამ წამლობამ, რის გამოთაც შემომაკლდა წამლობის სახსარი. და დავკარგე მორჩენის იმედი. ამის შემდეგ გავიგე, რომ ტფილისში იყიდება წამალი ყოველ გვარ ავადმყოფობისა „სპერმატინი“ ბატონ ახობაძესთან, წარმომადგენელს მოსკოვის ლაბარატორიისა ივანოვის. მოსკოვის ქუჩაზე მეთხე ნომერში. ვიყიდე ერთი ფლაკონი და ვიწყე მისი მიღება. ერთის კვირის განმავლობაში ვიგრძენი სატკივრის შემსუბუქება ამის შემდეგ. განვთავისუფლდი ყველა იმ ავადმყოფობისაგან, რომლებითაც ვიტანჯებოდი ხუთ წელიწადს და იმედი მაქვს, რომ „სპერმატინი“ მომანიჭებს ჩემს დაკარგულს ჯანს. ამით დავივიწყებ ჩემს წარსულს უბედურებას თუ რომ გადამარჩენს ექიმების **რეცეპტებს და ვიზიტებს,** ჩემთვის უსარგებლოს. პატივისცემით: **ვ. მნაცაკანოვისა,** ტფილისი, 22 აგვისტო.

„**მ. ხ. ბ. ივანოვ!** სიამოვნებით ვაცხადებ, რომ ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიის „სპერმატინმა“ დიდი შვება მოგვცა მე და ჩემ ცოლს ნერვების მოშლისა და ტანჯვის დროს. მოსკოვის რაიშვთა სოფიის საავადმყოფოს მეაფთიაქეს თანაშემწე **ს. კიუმინგერ.** 19 აპრილი 1907 წ.“

„ივანოვის „სპერმანტინის“ ლაბორატორიაში („სპერმინი“). მ. ხ, მე ვიტანჯებოდი დიდი ხნის ბუასილით და ნერვების დაუძლურებით, აგრეთვე მიკანკალებდა ხელები. ვცადე თქვენი „სპერმატინი“ და თუმცა წამლობის დროს გარემოება ხელს არ მიწყობდა, მაინც ვამოწმებ, რომ ჩემზე მან კარგად იმოქმედა: განვახლდი და გამოვკეთდი. გადაწყვიტე ვისარგებლო მეც და ჩემმა ოჯახობამ. იგი საუკეთესო გამამაგრებელი საშუალებაა. პატივისცემით **ს. ნ. ივანოვი.** მოსკოვი, როგოჟსკაია, 3 პერ., ს. ივანოვისა, 1მაისი 1907 წ.“

**მ. ხ. ბ. ივანოვ!** მე ვიტანჯებოდი ანემიით და ძალ-ღონის სისუსტით. გადავწყვიტე მესარგებლნა თქვენის „სპერმატინით“. ორის ფლაკონის მიღების შემდეგ უკეთ ვიგრძენ თავი. ვგრძნობ, რომ დაკარგული ენერგია და ღონე მიბრუნდება. გაჰქრა აპატია, მაგრამ კიდევ მსურს განვაგრძო „სპერმატინის“ ხმარება სრულიად მორჩენამდე. გიძღვნით გულწრფელ მადლობას შემწეობისთვის. **მიხეილ პეტრეს ძე გრიგორიევი.**

„სპერმატინი“ განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით „სპირმანი“ ნ. ნ. ივ-ს ჯვისა და ამხ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის ძმის ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ“-მა ნ. ნ. ივანოვისამ, დღეაც, „სპერმატინმა“ ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აურებელი სამადლობელი წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, ლონდონში, პარიზში, ბრიუსელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-მდე 65 კ. შუა აზიაში ორ-ჯელ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე.** ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, ს. გაბაევისა, № 4. **უბეოდ საქონელი არ იგზავნება.** (6—6.—4)



—:— პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! —:—



# კალოშებისა

**და სხვა რეზინის საქონლისათვის**

## უმაღლესი ჯილდო

(GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას“,

**რომელიც დაარსდა 1860 წელს.**

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ბეჭდს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვა „ს.-პეტერბურგს“, რომელიც წითლად არის შემოვლებული.

## ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება

სავაჭრო სახლში

# ლეოპოლდ ნეიშელლერ.

პეტერბურგსა, მოსკოვსა, რიგასა, ოდესსა, ეკატერინბურგსა

## ტ ფ ი ლ ი ს შ ი,

დონის როსტოვსა, ხარკოვსა, ირკუტსკსა, კიევსა და ტაშკენტში.

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი** პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვეა საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა. (100—60)


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.